სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/4

ქ. თბილისი

22 იანვარი 2019 წ.

სტუ-ის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ვადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფ. ი. კვესელავას 16.01.19 №01-09-33/97 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-02/3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დოქტორანტებს, რომლებსაც სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/350 დადგენილების მიღებამდე გეგმიურ ვადაში შეასრულეს სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტურანტურის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები და დარჩენილი აქვთ მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, მიეცეთ უფლება დაიცვან სამეცნიერო ნაშრომი ძველი წესით, სადისერტაციო კოლეგიაზე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ჯ. იოსებიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე